სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№113

ქ. თბილისი **30 ივლისი 2020 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი თავმჯდომარის ლევან მეხუზლას სახით და მეორე მხრივ, შპს „პრომოარეა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი”) მისი დირექტორი თემურ ჩხეიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (SMP200002708), „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის № 1216 განკარგულების თანახმად და 2020 წლის 24 ივლისის №1150-03 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ქვეპროგრამა: რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები) 2020 წლის რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად, რთველის სამუშაო ჯგუფის წევრებისა და ოპერატორებისთვის ქართული ღვინის ლოგოთი ბრენდირებული მაისურებისა და კეპების (CPV კოდი: 18332000; 18333000; 18443340) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. საქონლის სრული დასახელებები, რაოდენობა, ზომა, ტექნიკური მახასიათებლები და ერთეულის ფასი მითითებულია დანართი №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2020 წლის 15 აგვისტოსი.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 16 335.00 (თექვსმეტი ათას სამას ოცდათხუთმეტი) ლარი.

4.2 ერთეულის ფასები და რაოდენობები მოცემულია დანართი №1-ში.

4.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე

ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.4 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და ჯეროვანი შესრულება;

6. ხარისხი

მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა იყოს ხარისხიანი და პასუხობდეს ამგვარი საქონლის ხარისხის არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს, საქონლის მიწოდების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - სანდრო სამანიშვილი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ საქონლის წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით.

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო (წუნდებული) საქონლის გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ელექტრონული ფორმით, რომელიც დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება გამოწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

13.2 მხარეთა შორის (მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის ვადაში) შეუთანხმებლობის შემთვევაში დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებებს, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით დამოწმების/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დადასტურების თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	**შპს „პრომოარეა“**
თავმჯდომარე	დირექტორი
ლევან მეხუზლა	თემურ ჩხეიძე
ს/კ 204446965	**ს/კ** 400272502
იურიდ. მის.: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6.	**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი №4, ბინა №101
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,	**ფაქტ. მის.:** ქ. თბილისი, გობრონიძის №22
ბ.კ. TRESGE22; **ა/ა** 200122900	**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი“
ტელ: 297 41 03	**ბ.კ** TBCBGE22
	ა/ა GE26TB75 8403 6080 1000 11

ლევან მეხუზლა	თემურ ჩხეიძე

National Wine Agency

Digitally signed by National Wine Agency
Date: 2020.07.30 15:11:17 +04'00'

2020 წლის 30 ივლისის № 113 ხელშეკრულების დანართი №1

№	საქონლის დასახელება	CPV კოდი	მახასიათებლები	ზომა	რაოდენობა ფერის მიხედვით	რაოდ. სულ (ცალი)	ერთ. ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	მაისური პოლო (ბრენდირებული)	18333000	მაისური (პოლოს ტიპის) მოკლე სახელოებით. გვერდითი ჭრილებით დაბოლოებაზე; საყელო კლასიკური, სუფთად ნაქსოვი, ქსოვილის ფერის ტონალობაში. მოკლე მკლავი; საკინძე არაკლებ 3 ღილზე. ღილები ქსოვილის ფერის ტონალობაში; ქსოვილის ტიპი 60 % ბამბა, 40 % პოლიესტერი, ქსოვილის გრამაჟი 220 გრ/მ + 5გრ/მ2. -ბრენდირება შემსყიდველთან შეთანხმებით სააგენტოს ლოგოთი და წარწერით, ფერი მოთხოვნის შესაბამისად. წარწერის შესრულება მაღალი ხარისხის, მკაფიო გამოსახულებებით და სწორად შერჩეული დიზაინით, ბრენდირების ტექნოლოგია- ტრაფარეტული ბეჭდვა, ან თერმული ბეჭდვა შემსყიდველთან შეთანხმებით. მაისურის ქსოვილი დამუშავებული უნდა იყოს გახუნების საწინააღმდეგო საღებავით. მაისური ჩაკერილი ავერლოკის მანქანით.	S	5 ც. შავი 5 ც. ბორდო	204	25.50	5202.00
				M	9 ც. ღია რუხი 20 ც. მუქი ლურჯი 20 ც. შავი 20 ც. ბორდო			
				L	15 ც. ღია რუხი 20 ც. მუქი ლურჯი 20 ც. შავი			
				XL	10ც. ღია რუხი 15ც. მუქი ლურჯი 15ც. შავი 15 ც. ბორდო			
				XXL	5ც. მუქი ლურჯი 10ც. შავი			
2	მაისური მრგვალი ყელით (ბრენდირებული)	18332000	მაისური მოკლე სახელოებით. ქსოვილის ბოჭკოვანი შემდგენლობა: არანაკლებ 90% ბამბა; ყელზე მომდგარი , ჩაკერებული, მაღალი ხარისხის ნაქსოვი რეზინით; რეზინის სიმაღლე 1.8სმ + 2მმ ფაგლებში; ნაქსოვი რეზინის მიმაგრების და მხრის მიდამოების შეერთების ადგილები დამუშავებული ტრიკოტაჟის დასამუშავებელი გვირისტით. ქსოვილის წონა: 150 გრ/მ2 + 5გრ/მ2. ნაკერების შესრულება დაიშვება სამკერვალო ძაფით, ბამბის ძაფის უმეტესი წილის შემცველობით; ნაკერები თანაბარი, პარალელური, სწორი, გამრუდებების გარეშე; - ბრენდირების ტექნოლოგია- ტრაფარეტული ბეჭდვა ან თერმული ბეჭდვა შემსყიდველთან	S	20ც. მუქი ლურჯი 20 ც. შავი.	399	17.00	6 783.00
				M	55 ც. მუქი ლურჯი 55 ც. შავი.			
				L	54 ც. მუქი ლურჯი 55 ც. შავი.			
				XL	55ც. მუქი ლურჯი 55ც. შავი			
				XXL	15ც. მუქი ლურჯი 15ც. შავი			
3	კეპი (ბრენდირებული)	18443340	-100% ბამბა (+/-5%) -130გრ-(+/-10გრ) - 4 სავენტილაციო ნახვრეტი; - თავზემოსარგები, რეგულირებადი უკანა სამაგრი; - ბრენდირება შემსყიდველთან შეთანხმებით სააგენტოს ლოგოთი და წარწერით.		300 ცალი		14.50	4 350.00
			საულ ჯამი:		**16 335.00 ლარი**			

<u>შემსყიდველი</u>

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარე

<u>მიმწოდებელი</u>

შპს „პრომოარეა“
დირექტორი

ლევან მეხუზლა

თემურ ჩხეიძე

National Wine Agency

Digitally signed by National Wine Agency
Date: 2020.07.30 15:11:35 +04'00'